ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2021 წლის 25 მაისი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინიციატივების თანადაფინანსება“ განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინიციატივების თანადაფინანსება“ განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის №8 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 07/04/2021, 010250020.35.158.016529) დამტკიცებულ დანართი №1-ში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინიციატივების თანადაფინანსება“ განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ადგილობრივი და საერთაშორისო დაფინანსების (გრანტები) მოზიდვის შემთხვევაში ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სრულწლოვან მოქალაქე(ებ)თა, საინიციატივო ჯგუფის(ების) ან/და არასამთავრობო ორგანიზაციის(ების), რომელიც/რომლებიც ბოლნისის მუნიციპალიტეტში ახორციელებს/ახორციელებენ პროექტ(ებ)ს, პროექტების თანადაფინანსების (არაუმეტეს 50%) პროცედურებს და პირობებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში.“

2. მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (არ მოიცავს საქართველოში რეგიტრირებულ უცხოური საწარმოების ფილიალებს);

3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქეების, საინიციატივო ჯგუფების ან/და არასამთავრობო ორგანიზაციის(ების), რომელიც/რომლებიც ბოლნისის მუნიციპალიტეტში ახორციელებს/ახორციელებენ პროექტ(ებ)ს, გააქტიურება, მათი ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.“

4. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე(ებ)ი, საინიციატივო ჯგუფის(ების) ან/და არასამთავრობო ორგანიზაცია/ები, რომლებმაც მოიპოვეს პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამისი დაფინანსება „დონორის“ მხრიდან.“

5. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ ჟორჟოლიანი